პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 176 (9952) | სამშაბათი, 27 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა საარსებო ამოცანაა. — „პრავდის“ 26 ივლისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

დეპეშა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს და მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ ხო ში მინს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან (1-ლი გვერდი).

ურხო კეკონენის დეპეშა გ. მ. მალენკოვს (1-ლი გვერდი).

ურხო კეკონენის დეპეშა ვ. მ. მოლოტოვს (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე (მე-2 და მე-3 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა. — ქ. სევასტოპოლი. სევასტოპოლეთის საქალაქო საბჭო ამ დღეებში (მე-3 გვერდი).

ახალი მეთოდით უხვი მოსავალი მოიყვანეს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა საარსებო ამოცანაა

„პრავდის“ 26 ივლისის მოწინავე

გუშინ გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო წრეები დიდი ინტერესითა და ყურადღებით შეხვდნენ. ეს ბუნებრივია: საბჭოთა ნოტაში აღძრულია ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა სწორ და დროულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ევროპის, და მაშასადამე მთელი მსოფლიოს, მშვიდობა და უშიშროება. საბჭოთა მთავრობა გამოდის კონკრეტული წინადადებებით ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა განხორციელება შესაძლებელს გახდის თავიდან აცილებულ იქნას შეტაკებანი და კონფლიქტები ევროპის ქვეყნებს შორის, შეწყდეს გამალებული შეიარაღება და გაადვილდეს საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე აზრთა გაცვლის მიზნით საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას უახლოესი თვეების განმავლობაში თათბირი ევროპის ყველა სახელმწიფოსი, რომელიც მოისურვებს მასში მონაწილეობის მიღებას, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა. საბჭოთა მთავრობას სასურველად მიაჩნია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ამ თათბირზე გაგზავნოს თავისი მეთვალყურე.

როგორც საბჭოთა ნოტაშია აღნიშნული, ასეთი თათბირის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ არა მარტო გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის წინადადებებისადმი, არამედ შეიტანონ საკუთარი წინადადებებიც ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ზოლო დროს დასავლეთ ევროპაში გაძლიერდა ცდები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები წარმართავენ, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საბაბით მოეწყოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ტიპის ვიწრო კარდახშული დაჯგუფებანი.

სახელმწიფოთა ეს კარდახშული დაჯგუფებანი, რომლებიც ახორციელებენ ვიწროჯგუფობრივი ინტერესებისადმი დამორჩილებულ პოლიტიკას, უპირისპირდებიან სხვაგვარი საზოგადოებრივი წყობილების მქონე სხვა სახელმწიფოებს. როგორც საბჭოთა ნოტაშია აღნიშნული, ასეთ დაჯგუფებათა შექმნა, რომლებიც აგრესიულ კავშირებად იქცევიან, გარდუვალად იწვევს გამალებულ შეიარაღებას და საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას, რასაც მოსდევს ახალი ომები, მით უმეტეს, რომ ამ დაჯგუფებათა ორგანიზატორები ცდილობენ დამკვრელ ძალად გამოიყენონ გერმანიის რევანშისტული მილიტარიზმი.

ხუთი წლის წინათ ასეთი კარდახშული სამხედრო დაჯგუფების ტიპის მსგავსად შექმნილი ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახდა. ამ ბლოკის ორგანიზატორები ბედავენ განაცხადონ, რომ ეს ბლოკი ევროპის უშიშროების მიზნებს ისახავს. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალი დიდი სახელმწიფოებიდან მხოლოდ სსრ კავშირია გამორიცხული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილეთაგან, სავსებით ადასტურებს ახლანდელი სახით ამ ორგანიზაციის აგრესიულ ხასიათს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც სათავეში უდგანან ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს, მოუწოდებენ ძირგამომთხრელ, დივერსიულ და ტეროროისტულ საქმიანობისაკენ საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და აშკარად აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის ევროპის ქვეყნებში, შექმნილი სამხედრო ბაზები განკუთვნილია სსრ კავშირისა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებზე თავდასხმისათვის.

განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს იმის გეგმა, რომ შეიქმნას ახალი სამხედრო დაჯგუფება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ სახელწოდებით. ეს გეგმა, რომელსაც საფუძვლად უდევს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, აძლიერებს ევროპაში ახალი ომის საფრთხეს, ომისა, რომლის პირველი მსხვერპლი გახდებოდნენ დასავლეთ გერმანიის უახლოესი მეზობლები.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების გარანტია შეიძლება იყოს სრულიადაც არა ისეთი აგრესიული დაჯგუფება, როგორიც არის განზრახული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, არამედ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს ევროპის ყველა სახელმწიფოს.

ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ საბჭოთა წინადადებებმა, ბის უმნიშვნელოვანესი თავისებურება და ღირსება სწორედ ის გარემოებაა, რომ განზრახული სისტემის მონაწილე შეიძლება იყოს ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა. საბჭოთა კავშირი, ნათქვამია საბჭოთა მთავრობის 24 ივლისის ნოტაში, მუდამ ემყარებოდა და კვლავ ემყარება იმის აღიარებას, რომ შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა თანაარსებობა, რომ საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფით დაინტერესებულ ევროპის ყველა სახელმწიფოთა კოლექტიურ ღონისძიებებს.

საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ“ და „ევროპის კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საფუძვლების პროექტი, რომლებსაც საფუძვლად დაედო სახელმწიფოთა კოლექტიური მოქმედების პრინციპი. ხელშეკრულების ყოველი მონაწილე ვალდებულებას კისრულობს ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში გაუწიოს დახმარება მხარეს, რომელმაც თავდასხმა განიცადა, ყველა მისაწვდომი საშუალებით, მათ შორის შეიარაღებული ძალით, რათა აღდგენილ იქნას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება ევროპაში. ხელშეკრულების მონაწილენი აგრეთვე კისრულობენ ვალდებულებას არ მიიღონ მონაწილეობა არავითარ კოალიციაში, კავშირსა და შეთანხმებაში, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის მიზნებს.

საბჭოთა მთავრობამ თავის 24 ივლისის ნოტაში კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების პროექტი შეავსო ახალი დიდმნიშვნელოვანი წინადადებით ეკონომიურ დარგში თანამშრომლობის შესახებ. იგულისხმება, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იკისრებენ განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ვაჭრობისა და სხვა ეკონომიური ურთიერთობის განვითარება სახელმწიფოთა შორის, რაც შეეხებამება ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს და მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნებს.

კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის სისტემის შექმნა მნიშვნელოვნად გააადვილებდა გერმანის პრობლემის მოწესრიგებას და ხელს შეუწყობდა გერმანიის გაერთიანებას მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ. სრულიად ევროპის ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი ითვალისწინებს მასში, როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, ხოლო გერმანიის გაერთიანების შემდეგ — გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს მონაწილეობას.

საჭიროა აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის სისტემის შექმნა გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანასთან და გერმანიის პოლიციის რიცხვის შეთანხმებულ შეზღუდვასთან ერთად გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე უზრუნველყოფდა ამის შესაბამისად გერმანიის ნეიტრალიზაციას და ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ომის კერის აღორძინება შუაგულ ევროპაში, რასაც აუცილებლად იწვევს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს ავსტრიის საკითხის გადაჭრასაც.

თვალში გეცემა, რომ ამერიკის დიპლომატია და პრეპაგანდა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა წინადადებების საქმიან განხილვას. ამასთან ცდილობენ ამ წინადადებებს დაუპირისპირონ ფარისევლური ჩივილი იმის შესახებ, რომ დღემდე მიღწეული არ არის შეთანხმება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე. მაგრამ ცნობილია, რომ ამ დარგში შეთანხმების მიღწევა დღემდე ვერ მოხერხდა მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები ეწინააღმდეგებიან ყველა ეფექტიან ღონისძიებას ამ მიმართულებით. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მათი უარი მხარი დაეჭირათ სსრ კავშირის უკანასკნელი წინადადებისათვის იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა იკისრონ უთუო ვალდებულება არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის სრული ამოღებისა და სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების გზაზე.

ახალმა საბჭოთა წინადადებებმა, რომელთა მიზანია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა, შეშფოთება გამოიწვია იმათ შორის, ვინაც აშინებს თვით პრინციპი ევროპის ყველა სახელმწიფოს ღონისძიებათა გაერთიანებისა ომის თავიდან აცილებლად, იმიტომ რომ ეს სასიკვდილო ლახვარს ჩასცემდა მათს აგრესიულ გეგმებს ევროპაში.

დამახასიათებელია, რომ ვაშინგტონში საბჭოთა მთავრობის 24 ივლისის ნოტას განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სახელმწიფო დეპარტამენტმა, როგორც კი მიიღო ცნობა ნოტის შესახებ, დაუყოვნებლივ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ „ეს წინადადება გადაჭრით იქნება უარყოფილი“. ამერიკის პრესა ცინიკური გულახდილობით აცხადებს, რომ საბჭოთა წინადადება „მიუღებელია“ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისათვის, იმიტომ რომ იგი „ხელს შეუშლის ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნას“. ამრიგად, კვლავ დასტურდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ევროპაში თავიანთი პოლიტიკის ძირითად მიზნად მიაჩნიათ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, რომლის შიჩმა უნდა გახდეს უბადალებული „ევროპის არმია“.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ასეთი კურსი სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება ევროპაში. ახლა საერთაშორისო ვითარება იქმნება არა ომის მომხრეთა სასარგებლოდ, არამედ იმათ სასარგებლოდ, ვინც ემყარება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას და იმას, რომ საჭიროა საერთო კოლექტიური ღონისძიებანი, რათა დავიცვათ და განვამტკიცოთ უშიშროება და მშვიდობა.

ინგლისის გაზეთი „რეინოლდს ნიუსი“ საბჭოთა კავშირის 24 ივლისის ნოტისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში წერს: „ახლა რუსები იწვევენ დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებს ახალ მოლაპარაკებაზე ევროპის პრობლემების შესახებ. ჩვენ ვამბობთ: მიიღეთ ეს მიწვევა. ეენევამ ახალი იმედი შექმნა. განვამტკიცოთ ეს იმედი. შევხვდეთ რუსებს კომპრომისის ისეთივე სულისკვეთებით, რომელიც მშვიდობა მოუტანა ინდოჩინეთს. ინგლისს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა. შეერთებულ შტატებს კვლავ არ სურთ მოლაპარაკება რუსებთან სხვაგარად, თუ არა მუქარისა და ურთიერთბრალდების ენით. ინგლისმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს მიწვევა ახალ მოლაპარაკებაზე“.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები შეშინებული არიან ევროპის ხალხთა აშკარა მისწრაფებით დათანხმდნენ სადავო საკითხების გადაჭრაზე მოლაპარაკების გზით და ამით გზა გაუხსნან ნაყოფიერ მშვიდობიან თანამშრომლობას. ამერიკის გაზეთი „ბალტიმორ სანი“, ეხება რა საბჭოთა ნოტას, აღშფოთებულია იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „მთავარი მოკავშირეები“—ინგლისი და საფრანგეთი „დაუეჭვებლად“ ეკიდებიან რუსებთან შეთანხმებებს, და სიმწარით აღიარებს: „ფაქტი ფაქტად რჩება, რომ არც ერთი ეს ქვეყანა გულწრფელად არ მისდევს ჩვენს ხელმძღვანელობას“.

საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხებს, რომელთა ტერიტორია მოცული იყო ომის ხანძრით, ყველაზე რეალურად შეუძლიათ წარმოიდგინონ ახალი ომის აურაცხელი უბედურება. ხალხებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ახალი ომი გამოიწვევდა ისტორიაში სრულიად უმაგალითო ნგრევასა და მსხვერპლს. ეს არ შეიძლება არ გითვალისწინონ აგრეთვე ყველაზე შორსმჭვრეტელმა ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსმა მოღვაწეებმა, რომლებმაც იციან, რომ ახალი ომის ქარიშხალი არა მარტო ძირს გამოუთხრიდა, არამედ საძირკვლამდე დაანგრევდა მთელ კაპიტალისტურ სისტემას.

კოლექტიური უშიშროების სისტემის საფუძველზე ევროპაში მშვიდობის განმტკიცება უმნიშვნელოვანესი წვლილი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში და ხელსაყრელ პირობებს შექმნის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის სხვა საერთაშორისო ამოცანების გადაჭრისათვის.

საბჭოთა მთავრობის წინადადებას ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხის განხილვის შესახებ ევროპის სახელმწიფოთა რაც შეიძლება ფართო წარმომადგენლობის მონაწილეობით მხურვალედ იწონებს საბჭოთა ხალხი და ეს წინადადება, უეჭველია, მხარდაჭერას პოვებს ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს და მთავრობის თავმჯდომარეს

ამხანაგ ხო ში მინს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ვიეტნამელ ხალხს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და პირადად თქვენ, ამხანაგო ხო ში მინ, მეგობრულად გილოცავენ ჟენევაში მიღწეულ შეთანხმებას ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ.

ჟენევის შეთანხმებანი წარმოადგენენ მშვიდობის ძალების დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას და ამასთან ერთად თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამელი ხალხის თავდადებული ბრძოლის აღიარებას.

საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა მიესალმებიან გმირ ვიეტნამელ ხალხს და მის მთავრობას და უსურვებენ მათ ვიეტნამის რაც შეიძლება მალე აღდგენას და წარმატებებს მშვიდობიან ვითარებაში მისი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დეპეშა

ჰელსინკიდან 1954 წლის 21 ივლისი

მის აღმატებულებას

ბაჭონ გ. მ. მალენკოვს,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ქ. მოსკოვი

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, მიიღოთ ჩემი გულითადი მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისა და თავაზიანი მოპყრობისათვის, რაც საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამიწია სსრ კავშირში ჩემი ყოფნის დროს.

მოსკოვში ხელმოწერილი გრძელვადიანი სავაჭრო ხელშეკრულება ჩვენს ქვეყნებს შორის წარმატებითი თანამშრომლობის ახალი დადასტურებაა.

ურხო კეკონენი.

დეპეშა

ჰელსინკიდან 1954 წლის 21 ივლისი

მის აღმატებულებას

ბაჭონ ვ. მ. მოლოტოვს,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს

ქ. მოსკოვი

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მადლობა თქვენი სტუმართმოყვარეობისა და თავაზიანი მოპყრობისათვის მოსკოვში ჩემი ყოფნის დროს. მე ფინეთში დავბრუნდი იმაში დარწმუნებული, რომ შემდგომ განმტკიცდება ფინეთისა და სსრ კავშირს შორის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული მეგობრული ურთიერთობა.

ურხო კეკონენი.

საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

მოსკოვი

24 ივლისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა ქ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიძღვნილი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი.

დარბაზში შეიკრიბნენ ოფიცრები, ადმირალები, გენერლები, მატროსები, მოსკოვის საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალმა ფლოტის ადმირალმა ნ. გ. კუზნეცოვმა. მან დაახასიათა საბჭოთა-საზღვაო ფლოტის სახელოვანი ისტორია, ოლპარაკა საბჭოთა მეზღვაურების საბრძოლო გმირობაზე დიდი სამამულო ომის წლებში.

დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა, როცა ამხ. კუზნეცოვმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტს და გეგმიმენებელი მრეწველობის მუშაკებს, გმირ საბჭოთა ხალხსა და მის შეიარაღებულ ძალებს, კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას.

საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაბანოვმა, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრმა ზ. ა. შაშკოვმა, გემთმშენებელი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. მ. რედკინმა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნ. შელეპინმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

თბილისი

24 ივლისს თბილისში კ. ე. ვოროშილოვის სახელობის კლუბის საზაფხულო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო კრება.

სადღესასწაულოდ მორთულ თეატრში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის მეომრები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. მაღრაძემ.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. აბულაძემ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ოსტატმა ამხ. შ. გურგენიძემ, საქართველოს ალკკ თბილისის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ქუთათელაძემ, ნახიმოვის სასწავლებლის უფროსმა პატროსმა ამხ. ვ. სერებრიაკოვმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

დღეს გამოფენაზე

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნისათვის მთელ ჩვენს დიდ ქვეყანასთან ერთად აქტიურად ემზადება მოსკოვიც.

წინა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა რომ მუშაობდა, გამოფენაზე მისვლა შეიძლებოდა მხოლოდ იაროსლავლის გზატკეცილის მხრიდან, იქიდან, სადაც აღმართულია მუხინას ფართოდ ცნობილი უზარმაზარი ქანდაკება „მუშა და კოლმეურნე ქალი“. ეს გზა ახლაც რჩება გამოფენის მთავარი შესასვლელისაკენ მიმავალ მთავარ მაგისტრალად. მაგრამ ახლა გამოფენაზე შექმნილია კიდევ ხუთი შესასვლელი (გარდა სასამსახურო შესასვლელებისა).

აი გამოფენის მთავარი შესასვლელი, რომლის ფრონტი სამას მეტრზეა გაჭიმული. აქ ყურადღებას იპყრობს მძლავრპილონებიანი მაღალი თაღი, რომელსაც ავირგვინებს გამოფენის ემბლემა — ტრაქტორისტი და კოლმეურნე ქალი მაღლა აწეული ოქროსფერი ძნით. ბილონების კოზმიდები შემკობილია ბარელიეფებით, რომლებზეც გამოსახულია ტრაქტორისტი, კომბაინერი, აგრონომი, მეხილე, მებოსტნე. თაღის კიბეზედზე მოოქროვილი ასოებით წარწერილია: „სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა“. მის ზევით მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების თექვსმეტ დროშას შუა საბჭოთა კავშირის გერბია.

მთავარი შესასვლელი სხმული ღობით შეერთებულია 24 სალაროსთან. შესასვლელის თვითეულ მხარეს თორმეტი სალაროა. აქვეა ტელეგრაფი, ფოსტა, შემნახველი სალარო, საქალაქთაშორისო ტელეგრაფის პუნქტი და სხვ.

მთავარი შესასვლელისაკენ მიმავალი დამთვალიერებლები იაროსლავლის გზატკეცილიდან გადაუხვევენ 24 მეტრი სიგანის მოასფალტებულ გასასვლელზე, რომლის ბოლოში მოწყობილია მოედანი ტრანსპორტისათვის. გამოფენის შესასვლელთან მიყვანილია ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის ხაზები.

გამოფენა ყოველდღე შეიძლება დათვალიეროს ასი ათასამდე კაცმა. მათი შეუფერხებელი გადაყვანისათვის მოსამზადებლად დიდი მუშაობა გასწიეს მოსკოვის საქალაქო ტრანსპორტის მუშაკებმა. ტრამვაით, ავტობუსებით, ტროლეიბუსებით, ტაქსებით გამოფენაზე ყოველ საათში მისვლა შეუძლია 34.000 კაცს, რომელთა ძირითადი ნაკადი მთავარი შესასვლელისაკენ გაემართება მთავარი მაგისტრალით. ტროლეიბუსი ამ მარშრუტით ივლის ყოველ 45 წამში. მეტროს სადგურებიდან — „ბოტანიკური ბაღიდან“ და „სოკოლნიკიდან“ ივლიან ავტობუსი-ექსპრესები, რომლებსაც გზაში გაჩერება არ ექნებათ. კომკავშირის მოედნიდან, კურსკისა და ბელორუსიის ვოგზლებიდან და სეერდლოვის მოედნიდან გამოფენაზე წასვლა შეიძლება სპეციალური სამარშრუტო ტაქსებით. გარდა ამისა, დინამოროვის გზატკეცილით მიმავალი ახალი საავტობუსო ხაზით გამოფენა დაკავშირებული იქნება ტიმირიაზევის აკადემიასთან.

სპეციალური ავტოტრანსპორტი მოემსახურება დედაქალაქში საგზურებით ჩამოსულ ექსკურსანტებს.

მაგრამ მგზავრების მნიშვნელოვან ნაწილს მაინც მოსკოვის ტრამვაი გადაიყვანს, რომელიც შვედი მარშრუტით ივლის გამოფენისაკენ. რამდენად ინტენსიური იქნება ტრამვაის მოძრაობა ამ მიმართულებებით, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ მარტო იაროსლავლის გზატკეცილით ყოველ საათში გაივლის ტრამვაის 65 მატარებელი.

ამასთანავე გამოფენის ყველა შესასვლელთან გამოყოფილია ადგილი ინდივიდუალურ მფლობელთა მანქანების გასაჩერებლად.

გარემოს ალამაზებს ორი ფართო ხეივნის კიდეებზე რამდენიმე რიგად დარგული ლარიქსი, ცაცხვი, წაბლი, ცირცელი, იასამნის ბუჩქები.

მთავარი შესასვლელის წინ გაშენებულია ორი კეთილმოწყობილი სკვერი გამოფენის დამთვალიერებელთა დასასვენებლად. დიდი პარკია გაშენებული გამოფენის ცენტრალური შესასვლელის ჩრდილოეთით.



სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. უზბეკეთის სსრ პავილიონი.
ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

აქლა განვაგრძოთ საუბარი საბჭოთა საქართველოს პავილიონის შესახებ.

აი მახარაძის რაიონის სტენდი.

აქ ჩვენ ვიგებთ, რომ რაიონში სუბტროპიკულ ნარგავებს უკავიათ 12.868 ჰექტარი, აქედან ჩაის — 8.051 ჰექტარი. აქვე ნაჩვენებია, თუ როგორ იზრდება ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა (ცენტნერობით ჰექტარზე). 1940 წელს მაჩვენებელი იყო ციფრი 1.822, ხოლო გასულ — 1953 წელს — 3.605. სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრთა თავდადებული შრომის შედეგად რაიონის ოცდაათივე კოლმეურნეობა ჰილიონერია.

ამ სტენდზე ყურადღებას იპყრობს რაიონის ოსტატურად გაკეთებული მნათი რუკა, რომელზეც პირობითად აღნიშნულია ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს პლანტაციები, ჩაის ფაბრიკები, ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, ციტრუსების სახელმწიფო სანერგე, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. სპეციალურ დიაგრამაზია პლანტაციების ოდენობის მაჩვენებლები.

აი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მერგოლურის სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის დ. ტაკიძის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომის გ. მეგრელიშვილის დიდი ფოტოპორტრეტები.

იქვე გაკეთებულია წარწერა, რომ რაიონის კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევს მახარაძის მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელიც უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი, ილუსტრირებულია ფოტოსურათით. უზარმაზარ ფოტოსურათზე ვხედავთ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციას, რომლის მოსავალი ჰექტარზე 5.078 კილოგრამი იყო. შემდეგ ისევ წარწერაა, უკვე იმის შესახებ, რომ რაიონში მუშაობს ჩაის 10 ფაბრიკა და 1 აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული ქალაქ მახარაძის კეთილმოწყობისათვის.

შემდგომი სტენდი მიძღვნილია ჩაის 63 ფაბრიკისადმი, რომლებიც საქართველოში მუშაობენ. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უნგრულ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-9 ტომი

ბუდაპეშტი. (საკდესი). სიკრას გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-9 ტომი. ამ ტომში გამოქვეყნებული შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი უნგრულ ენაზე პირველად გამოიცა.

ბულგარეთში გამოვიდა გიორგი დიმიტროვის რჩეული თხზულებანი

სოფია, 25 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ გამოუშვა გ. დიმიტროვის რჩეულ თხზულებათა ორტომეული.

ყვარელის მტს-მა მოსავლის აღების გეგმა შეასრულა

ყვარელი. (საკ. კორ.). მტს-მა 25 ივლისისათვის შეასრულა პურეულის მკის გეგმა, მომკა 5.994 ჰექტარი ნაცვლად 5.900 ჰექტარისა.

კომბაინერთა შორის დაწინაურდა სიმონ ბუთიაშვილი, რომელმაც მომკა 470 ჰექტარი პურეული, გალეწა 6.200 ცენტნერი ხორბალი. ვალდებულებით უნდა აეღო 400 ჰექტარი და გალეწა 6.000 ცენტნერი. თავი ისახელეს აგრეთვე კომბაინერებმა ი. ლოლიაშვილმა, შ. სესიაშვილმა, ს. თირიკაშვილმა, ვ. დათიურიძემ. ახლა ისინი პურეულს გეგმის გადამეტებით მკიან.

თელეთის მტს-მა მოსავლის აღების გეგმა შეასრულა

თბილისის გარეუბნის რაიონის თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა 22

საბჭოთა მთავრობის ნოტა

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე

24 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი ლერუა, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი უ. ჰეიტერი და ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი უ. უოლმსლი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის ნოტა ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე, რომელიც წარმოადგენს პასუხს საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა 1954 წლის 7 მაისის ნოტებზე.

ქვემოთ ქვეყნდება საფრანგეთის მთავრობის 1954 წლის 7 მაისის ნოტის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 24 ივლისის საპასუხო ნოტის ტექსტი.

საფრანგეთის მთავრობის 1954 წლის 7 მაისის ნოტა

საფრანგეთის საელჩო ადასტურებს თავის პატივისცემას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და პატივი აქვს აცნობოს მას შემდეგი.

1. საფრანგეთის მთავრობას კონსულტაცია ჰქონდა შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა დაინტერესებულ მთავრობებთან, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებთან, ევროპის უშიშროების პრობლემის იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც ყოველმხრივი განხილვის საგანი იყო ოთხ საგარეო საქმეთა მინისტრს შორის ბერლინში და რომლებსაც საბჭოთა მთავრობამ კვლავ მიაქცია საფრანგეთის მთავრობის ყურადღება თავის 31 მარტის ნოტაში.

2. საფრანგეთის მთავრობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ესწრაფვოდა შეიარაღების საყოველთაო შემცირების მიღწევას, მათ შორის ატომური იარაღის, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას და ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიის კომისიაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიაში, ხოლო შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა ხელი შეეწყო განიარაღების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადებისათვის, რათა ბოლო მოეღო გამალებული შეიარაღებისათვის, რომელიც ესოდენ ძვიმტვრთს აკისრებს მსოფლიოს ხალხებს. ასეთი შეთანხმება შეიძლება მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ თანმიმდევრული და პროპორციული განიარაღების პროგრამის ცნობის საფუძველზე ისეთი ეფექტიანი გარანტიების არსებობისას, რომლებიც აღკვეთდნენ აგრესიის ყოველგვარ საფრთხეს, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი. საფრანგეთის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი სამუალებებით შეუწყოს ხელი იმას, რომ წარმატებით დამთავრდეს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ინიციატივით დაწყებული მოლაპარაკება, ისევე როგორც განიარაღების საკითხზე მოლაპარაკება, რომელიც მალე დაიწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მას იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ შეიტანს კონსტრუქციულ წვლილს ამ პრობლემების გადაჭრაში.

3. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ამ მოლაპარაკების წარმატება, საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღვადგინოთ უშიშროებისა და ნდობის ატმოსფერო. სწორედ ამის გამო, საფრანგეთის მთავრობამ კვლავ გულდასმით შეისწავლა წინადადებანი ევროპის უშიშროების შესახებ, რომლებიც პირველად შეიტანა საბჭოთა მთავრობამ ბერლინში და შემდეგ გაიმეორა თავის 31 მარტის ნოტაში. ამ წინადადებებში საბჭოთა მთავრობა არ ცდილობს აღკვეთოს ევროპის დაძაბულობის ნამდვილი მიზეზები. ამის ნაცვლად იგი მოითხოვს ახალ ხელშეკრულებას კოლექტიური უშიშროების შესახებ, რომელიც ამკარად ემყარება გერმანიის ნეიტრალიზაციას და გათიშვის შენარჩუნებას და უცვლელად ტოვებს ცალმხრივ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო კონტროლს, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამის შედეგად უშიშროების უქონლობა და ევროპის გათიშვა შეიძლება დარჩეს ხანგრძლივი პერიოდით. ეს წინადადებანი, მათში ისეთ შესწორებათა შეტანის შემდეგაც კი, რომლებითაც დაშვებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა, არ იქნება ნამდვილი უშიშროების საფუძველი.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელშიც შევიდოდნენ საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები და ევროპის ყველა ქვეყანა, სრულიადაც არ გააძლიერებდა უშიშროების იმ მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც უკვე არსებობს: იგი არა მარტო უსარგებლო იქნებოდა, არამედ საშიშიც, რამდენადაც აუცილებლად გამოიწვევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოთხრას. ამიტომ საფრანგეთის მთავრობა ვერ მიიღებს საბჭოთა წინადადებას. კოლექტიური უშიშროება შეიძლება საუკეთესოდ იქნას უზრუნველყოფილი, თუ საბჭოთა მთავრობა დაანებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას იმოქმედოს ისე, როგორც ამას წესდება ითვალისწინებს.

5. საბჭოთა მთავრობამ ასევე მხარი დაუჭირა იმას, რომ მის მიერ შეტანილ კოლექტიური უშიშროების პაქტს თან ახლდეს ატლანტიკის პაქტის გაფართოება იმ გზით, რომ ამ ხელშეკრულებას შეუერთდეს სსრ კავშირი. უსარგებლოა ხაზგასმით აღინიშნოს ამგვარი წინადადების აბსოლუტურად არარეალური ხასიათი. იგი ეწინააღმდეგება თვით პრინციპებს, რომლებსაც ემყარება დასავლეთის ერების თავდაცვითი ღონისძიებანი და უშიშროება, ერებისა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ურთიერთნდობით. ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე სამხედრო შეთანხმება, ემყარება პირადი თავისუფლებისა და უფლებათა პატივისცემის პრინციპს. მისი წევრების თავდაცვის გაერთიანებული საშუალებანი უზრუნველყოფენ ყველა მათთვის უშიშროებას, რომელსაც ისინი ვერ მიაღწევენ ცალცალკე, რადგან ევროპაში 1945 წლიდან არსებობს საბჭოთა კავშირის სამხედრო უპირატესობა და დასავლეთისაკენ გავრცელებულია ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო სისტემა, რომელიც მან მთლიანად დაუმორჩილა მხოლოდ და მხოლოდ თავის კონტროლს. ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია მთლიანად თავდაცვითი ორგანიზაციაა. ორგანიზაციის ყველა წევრს შორის არსებობს ინფორმაციის თავისუფალი და სრული გაცვლა. ორგანიზაციის ყველა გადაწყვეტილებას იღებენ ერთსულოვანი თანხმობით. საბჭოთა კავშირი ამ ორგანიზაციის წევრი რომ გამხდარიყო, მას შეაძლებლობა ექნებოდა ვეტო დაედო თვითეული მისი გადაწყვეტილებისათვის. ვერც ერთი წევრი სახელმწიფო ვერ დაუშვებს, რომ მისი კოლექტიური უშიშროების სისტემა ამგვარად დაინგრეს.

6. ევროპისა და მსოფლიოს უშიშროების განმტკიცება შეიძლება სრულიადაც არა იმით, რომ დანგრეულ იქნას ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოთა თავდაცვითი ასოციაციები და არა იმის ცდებით, რომ ისინი შეიცვალოს უშიშროების ახალი ილუზორული ორგანიზაციებით. საფრანგეთის მთავრობა კვლავ დარწმუნებულია, რომ მხოლოდ თვითეული პრობლემის თანმიმდევრული გადაჭრა გაფანტავს უშიშროების უქონლობის გრძნობას, რომელიც მთელ მსოფლიოში არსებობს. მას შესაძლებლად არ მიაჩნია მიღწეულ იქნას მტკიცე გადაწყვეტა იმ გზით, რომ შეიქმნას უშიშროების ახალი ორგანო, რომელიც იქნებოდა უბრალო ფასადი, რაც დაფარავდა იმავე სერიოზულ სიძნელეთა და უთანხმოებათა არსებობას.

7. სწორედ ამის გამო დასავლეთის სახელმწიფოებმა ბერლინში წამოაყენეს გეგმა, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო პირველი ნაბიჯი გერმანიის პრობლემის გადაჭრის გზაზე: საბჭოთა მთავრობა მის განხილვასაც კი არ დათანხმდა. დასავლეთის სახელმწიფოებმა ასევე წამოაყენეს წინადადებანი, რომ ევროპის უშიშროება განმტკიცებულიყო არსებულ შეთანხმებათა საფუძველზე: საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა ამ წინადადებათა განხილვაზეც. დასავლეთის სახელმწიფოებმა წინადადება წამოაყენეს მიღებული ყოფილიყო ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების ყველა სადავო მუხლის საბჭოთა ტექსტი. საბჭოთა მთავრობა არათუ არ დათანხმდა ხელშეკრულების ტექსტი მოეწერა ხელშეკრულებისათვის იმ პირობებით, რომლებიც თვითონ მან წამოაყენა, არამედ ჩამოაყალიბა ახალი და მიუღებელი მოთხოვნები, რომლებიც მთლიანად დაამახინჯებდნენ ხელშეკრულების ხასიათს და გადააქცევდნენ ხელშეკრულებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესახებ ხელშეკრულებად გაურკვეველი ვადით ეცხოეთის ჯარების მიერ ოკუპაციის შესახებ.

8. საბჭოთა მთავრობამ გაიმეორა კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც მან გააკეთა ბერლინში იმ გეგმების თაობაზე, რომლებიც შეეხებოდა ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას. საფრანგეთის მთავრობა, რომელმაც უკვე გამოთქვა თავისი თვალსაზრისი ამის შესახებ, ვერ დაეთანხმება იმას, რომ ეს პროექტი, რომელსაც შეზღუდული მნიშვნელობა აქვს, თითქოს ევროპის გათიშვის მიზეზია ან ადიდებს ომის საფრთხეს. ევროპის გათიშვა გამოიწვია საბჭოთა მთავრობამ, და მისი უარი გაეხილოს თავისუფალი არჩევნების საფუძველზე გერმანიის გაერთიანების საკითხი ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც ხელს უწყობს ამ გათიშვის დამკვიდრებას. ამ პირობებში შეუძლებელია დაუცველი დარჩეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა მით უმეტეს, რომ თვით აღმოსავლეთ გერმანიის ხელმძღვანელთა აღიარებით, აღმოსავლეთ გერმანიას მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავს. საფრანგეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ყველა დაინტერესებული მხარისათვის თავდაცვაში გერმანიის მონაწილეობის პრობლემის ყველაზე სწორი და ქმედითი მეთოდი იქნებოდა ისეთი გაერთიანების შექმნა, რომელიც თვით თავისი ბუნებით წინააღმდეგობას გაუწევდა გერმანიას განეხორციელებინა რაიმე ცალმხრივი შეიარაღებული აქცია.

9. საფრანგეთის მთავრობა კვლავ დარწმუნებულია, რომ საჭიროა სასწრაფოდ გაუმჯობესდეს სახელმწიფოთა ურთიერთობა და უზრუნველყოფილ იქნას მათი ურთიერთუშიშროება. მას მიაჩნია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზების ლიკვიდაციის საქმეში პროგრესის მისაღწევად უკეთესი იქნებოდა, თუ საბჭოთა კავშირის მთავრობა კონკრეტულად დაამტკიცებდა თავის კეთილ ნებას იმით, რომ შეუერთდებოდა საფრანგეთის, შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს მთავრობებს, რათა:

a) მიღწეულ იქნას ავსტრიის საკითხის რაც შეიძლება მალე მოწესრიგება, რათა ავსტრიას მიეცეს სრული სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა;

b) მიღწეულ იქნას გერმანიის პრობლემის მტკიცე და მისაღები გადაწყვეტა;

c) უახლოეს დროში დაიდოს შეთანხმება საყოველთაო, თანმიმდევრული, პროპორციული და კონტროლირებული განიარაღების შესახებ, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს, კერძოდ, ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას, აგრეთვე ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესებას სათანადო გარანტიების მიცემის გზით;

d) მიღწეულ იქნას ჟენევის თათბირზე შორეული აღმოსავლეთის ყველაზე სასწრაფო პრობლემების გადაწყვეტა;

e) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მხარი დაეჭიროს პოზიციას, რომელიც შეესაბამება წესდების პრინციპებს, რაც საშუალებას მისცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეასრულოს თავისი მისია როგორც კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციამ.

საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 24 ივლისის ნოტა

საფრანგეთის მთავრობის 7 მაისის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

საფრანგეთის მთავრობის ხსენებული ნოტიდან ჩანს, რომ იგი არ იზიარებს შეხედულებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის 31 მარტის ნოტაში როგორც ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების საკითხზე, ისე საბჭოთა მთავრობის მიერ გამოთქმული მზადყოფნის გამო განიხილოს დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში სსრ კავშირის მონაწილეობის საკითხი. ამასთან, საფრანგეთის მთავრობას არ შემოუტანია არავითარი წინადადება, რომლის მიზანიც იყოს ევროპის ყველა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა. საფრანგეთის მთავრობის ასეთი დამოკიდებულება ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი საკითხისადმი არ შეიძლება გამართლებულ იქნას, თუ გავითვალისწინებთ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

აღნიშნული ნოტიდან ჩანს, რომ საფრანგეთის მთავრობა, იმოწმებს რა თავის დაინტერესებას ევროპის უშიშროების უზრუნველყოფით, იკავებს პოზიციას, რომელიც სინამდვილეში არ შეიძლება ემსახურებოდეს ამ მიზანს, რამდენადაც ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის სახით ეწყობა სახელმწიფოთა ვიწრო კარდახშული დაჯგუფებები, რომლებშიც მონაწილეობის საშუალებას უსპობენ ყველა სხვა სახელმწიფოს. სწორედ ასეთია საფრანგეთის პოზიცია ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ტიპის „ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოთა ასოციაციების“ შექმნის საკითხში. აქედან გამომდინარეობს, რომ, იმის ნაცვლად, რომ აღიაროს უშიშროების აუცილებლობა ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის, დამოუკიდებლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, საფრანგეთის მთავრობა დაადგა იმ სახელმწიფოთა კარდახშული დაჯგუფებების შექმნის პოზიციას, რომლებიც ახორციელებენ ამ სახელმწიფოების ვიწრო-ჯგუფური ინტერესებისადმი დაქვემდებარებულ პოლიტიკას, სახელმწიფოებისა, რომლებიც უპირისპირდებიან სხვაგვარი საზოგადოებრივი წყობილების მქონე სხვა სახელმწიფოებს.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ასეთი დაჯგუფებებს, რომლებიც სამხედრო აგრესიულ კავშირებად იქცევიან, არ შეუძლიათ ემსახურებოდნენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ასეთი დაჯგუფებანი თავიანთ თავს უპირისპირებენ დანარჩენ სახელმწიფოებს და გარდუვალად იწვევენ გამალებულ შეიარაღებასა და საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას, რასაც მოჰყვება ახალი ომები. ამრიგად, საფრანგეთის მთავრობა, ახორციელებს რა კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკას, მოქმედებს ევროპის ყველა სახელმწიფოს უშიშროების ინტერესების წინააღმდეგ, საქმით გამოდის მთელი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის მოწინააღმდეგედ. აგრესიული ხასიათის ასეთ კარდახშულ დაჯგუფებათა შექმნა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, რამდენადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შექმნილია სახელმწიფოთა გაერთიანების საფუძველზე, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა, და მოწოდებულია დაიცვას ხალხთა მშვიდობა და უშიშროება სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და კოლექტიურ ღონისძიებებზე დაყრდნობით. სწორედ ასეთი კარდახშული სამხედრო დაჯგუფებანი უთხრიან ძირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მის საერთაშორისო ავტორიტეტს.

ასეთი აგრესიული სამხედრო დაჯგუფებაა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია. საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას სრულიადაც არა აქვს თავდაცვითი ხასიათი. ეს ორგანიზაცია სავსებით უგულებელყოფს გერმანიის აგრესიის გამეორების საფრთხეს და არ ისახავს ამოცანად თავიდან აიცილოს ასეთი აგრესია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც საფრანგეთმა, ისე ინგლისმა ურთიერთშორის ხელშეკრულებისა და სსრ კავშირთან მათი ხელშეკრულებების საფუძველზე იკისრეს გერმანიის ახალი აგრესიის თავიდან აცილების ვალდებულებანი. მარტო ეს გარემოება საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია სრულიად არ ისახავს მიზნად აღმოფხვრას ახლანდელ პირობებში ყველაზე რეალური საფრთხე გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და ამასთან დაკავშირებული გერმანიის აგრესიის გამეორებისა, რომელიც ახალ და კიდევ უფრო დიდ უბედურებას უქადის ევროპის ხალხებს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დიდი სახელმწიფოებიდან, რომლებიც ანტიჰიტლერულ კოალიციაში შედიოდნენ, მარტო სსრ კავშირია გამორიცხული ამ ორგანიზაციის მონაწილეთაგან. ასეთი ფაქტი არ შეიძლება არ იქნას მიჩნეული იმის აშკარა დადასტურებად, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია აგრესიულია საბჭოთა კავშირის მიმართ. საფრანგეთის მთავრობის 7 მაისის ნოტა, რომელშიც იგი უარს ამბობს განიხილოს საბჭოთა მთავრობის მიერ დასმული საკითხი ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ, სავსებით ადასტურებს ამ ორგანიზაციის აგრესიულ ხასიათს.

საფრანგეთის 7 მაისის ნოტაში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს საბჭოთა კავშირს, თუ იგი შეუერთდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას, შეუძლია გამოიყენოს ამ ორგანიზაციის წევრის უფლება, რათა „ვეტო დაადოს მის თვითეულ გადაწყვეტილებას“ და ამით „დაანგრიოს“ ეს ორგანიზაცია. მაგრამ, ამგვარი მოსაზრებების ხელოვნურობა და უსაფუძვლობა აშკარაა, რამდენადაც საბჭოთა კავშირი არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ მდგომარეობას ამ ხელშეკრულების სხვა მონაწილეებთან შედარებით.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია კვლავ ხაზგასმით არ აღნიშნოს განსაკუთრებული საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ამჟამად ჰზადება ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნა სახელწოდებით „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, რომლის პროგრამა და გეგმები იწვევენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, რომელიც ემუქრება მთელი ევროპის უშიშროებას და, განსაკუთრებით, დასავლეთ გერმანიის მეზობელ სახელმწიფოთა უშიშროებას. საფრანგეთის მთავრობის 7 მაისის ნოტის მტკიცებას, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ თითქოს წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც „თვით თავისი ბუნებით წინააღმდეგობას გაუწევდა გერმანიას განეხორციელებინა რაიმე ცალმხრივი შეიარაღებული აქცია“, ნიადაგი არ მოეპოვება. იმედის დამყარება იმაზე, რომ ამჯერად პარიზისა და ბონის შეთანხმებათა დახმარებით შესაძლო იქნება გერმანიის მილიტარიზმის შეკავება რაიმე ფარგლებში, ნიშნავს იმას, რომ ანგარიში არ გაუწიო ისტორიულ ფაქტებს. ისტორიის გამოცდილება კი გვეუბნება, რომ ყოველთვის, როცა გერმანიის ზედა თავიანთ ხელში იღებდნენ მილიტარისტები, რევანშისტები, იგი გარდუვალად ადგებოდა აგრესიის გზას, ნაკუწ ქაღალდად აქცევდა რა თავის შეთანხმებებსა და ვალდებულებებს სხვა სახელმწიფოების უშიშროების მიმართ. ამიტომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმების განხორციელებას არ შეიძლება არ მოჰყვეს ევროპაში ახალი ომის საფრთხის გაძლიერება, რომლის პირველი მსხვერპლნი იქნებიან დასავლეთ გერმანიის უახლოესი მეზობლები. არა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ტიპის ორგანიზაციას, რომელიც კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებას წარმოადგენს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ევროპის ყველა სახელმწიფოს მოიცავს, შეუძლია უზრუნველყოს მშვიდობა და უშიშროება ევროპაში.

საბჭოთა კავშირი მუდამ ემყარებოდა და კვლავ ემყარება იმის აღიარებას, რომ შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა თანაარსებობა, საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფით დაინტერესებული ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიურ ღონისძიებებს.

ხელმძღვანელობდა რა ამით, საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე განსახილველად შეიტანა წინადადება „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ“ და ამასთან დაკავშირებით წამოაყენა „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საფუძვლების პროექტი. საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილი სრულიად ევროპის ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი თავისებურება და ღირსება უწინარეს ყოვლისა ის გარემოება, რომ მისი მონაწილე შეიძლება იყოს ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მისი საზოგადოებრივი წყობილებისა. ამ ხელშეკრულების მონაწილენი შეიძლება იყვნენ როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, ხოლო გერმანიის გაერთიანების შემდეგ — ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება გახდეს გერმანიის ერთიანი სახელმწიფო. სრულიად ევროპის ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს პრინციპი სრულიად ევროპის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კოლექტიური მოქმედებისა ევროპის ხელშეკრულების მონაწილე ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის საფრთხის წინააღმდეგ. ამასთან ხელშეკრულების თვითეული მონაწილე კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სხვა სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში გაუწიოს ამ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, რომლებმაც ასეთი თავდასხმა განიცადეს, დახმარება მისთვის მისაწვდომი ყველა საშუალებით, მათ შორის შეიარაღებული ძალის გამოყენებით, რათა აღადგინოს და დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და ევროპის უშიშროება. ამასთან, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ მონაწილეობა არ მიიღონ რაიმე კოალიციასა ან კავშირში და არ დადონ არავითარი შეთანხმება, რომლის მიზნები ეწინააღმდეგება ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის მიზნებს.

ასეთი ევროპული სისტემა შექმნდა ევროპის უშიშროების რეალურ პირობებს. იგი იქნებოდა სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში და უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა გერმანიის პრობლემის მოწესრიგებისათვის ერთიანი გერმანიის, როგორც მშვიდობის მოყვარე, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე. ამ შემთხვევაში აღმოიფხვრებოდა ის სერიოზული დაბრკოლებანი გერმანიის გაერთიანების გზაზე, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში შექმნა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის პოლიტიკამ და ეგრეთწოდებულ „ევროპის თავდაცვითის გაერთიანებაში“ მისი ჩაბმის გეგმებმა.

კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის სისტემის შექმნა, გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანასთან და გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებამდე გერმანიის პოლიციის რიცხვის შეთანხმებულ შეზღუდვასთან ერთად, უზრუნველყოფდა ამის შესაბამისად გერმანიის ნეიტრალიზაციას და ამით შეუძლებელს გახდიდა ევროპის შუაგულში ომის კერის წარმოშობას, რასაც გარდუვალად იწვევს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა.

სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადება, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობდა ავსტრიის საკითხის გადაჭრასაც, რომლის მოუწესრიგებლობისათვის, წინააღმდეგ საფრანგეთის ნოტის მტკიცებისა, პასუხისმგებლობა ეკისრებათ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს, რომლებმაც ბერლინის თათბირზე ხელი შეუშალეს ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადებას და ხელი არ აუღიათ თავიანთ სამხედრო დაჯგუფებაში ავსტრიის ჩაბმის გეგმებზე.

სრულიად ევროპის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა ხალხთა ძირეულ ინტერესების შესაბამისი იქნებოდა და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, რამდენადაც ევროპის ქვეყნები გაერთიანებული იქნებოდნენ აგრესიისადმი წინააღმდეგობის საერთო მიზნით და საერთო ვალდებულებით — მიიღონ ეფექტიანი ღონისძიებანი ასეთი საფრთხის აღმოსაფხვრელად და ევროპის უშიშროების დასაცავად. ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებას და დაცვას უეჭველია ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

ომის საფრთხე კანონიერ შეშფოთებას იწვევს ევროპის ხალხებში, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინათ განიცადეს მეორე მსოფლიო ომი, რაც გერმანელმა მილიტარისტებმა გაანაღეს. საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხებს, რომელთა ტერიტორიები მოიცვა ომის ხანძარმა, ყველაზე რეალურად შეუძლიათ წარმოიდგინონ ახალი ომის აუარაკელი უბედურება. ხალხთა შეშფოთება დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების მუქარასთან, განსაკუთრებით ადამიანთა მასობრივი მოსპობის ამ იარაღის ახალი სახეების სულ უფრო მზარდი დამანგრეველი ძალის გამო. ამასთან ერთად ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იარაღის ისეთ ახალ სახეობათა განვითარებას, როგორიც არის რაკეტიანი იარაღი, რომლის მოქმედების სიშორე რამდენიმე ათასი კილომეტრია, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ატომისმჭურვიანი სამართავი რაკეტის ყუმბარები თავისი დამანგრეველი ძალით სრულიად არ შეედრება მფრინავ ბომბებს „ფაუს“, რომლებითაც მეორე მსოფლიო ომის დასასრულს დასალუპავად განწირული ჰიტლერელები ცდილობდნენ მოესპოთ მსოფლიოში ცნობილი კულტურისა და ცივილიზაციის ზოგიერთი ცენტრი. ამ პირობებში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ამოცანად ხდება მიღწეულ იქნას საერთაშორისო შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვის შესახებ, აგრეთვე წინადადებანი სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების არსებითი შემცირების და შესაბამის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. ამასვე მოწმობს საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წინადადებაც, რომ სახელმწიფოებმა იკისრონ უთუო ვალდებულება არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი, რაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა სახელმწიფოთა შეიარაღებიდან ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის მთლიანად ამოღების და სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების გზაზე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ამ წინადადებებს საფრანგეთის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა. პოზიცია, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ ამ საკითხში დაიკავა, არათუ არ მოწმობს შეიარაღების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისადმი რაიმე მისწრაფებას, როგორც ამას საფრანგეთის მთავრობა აცხადებს 7 მაისის ნოტაში, არამედ, პირიქით, მოწმობს, რომ საფრანგეთის მთავრობა ეწინააღმდეგება ყოველგვარ ეფექტიან ღონისძიებას ამ მიმართულებით.

საფრანგეთის მთავრობის ნოტაში აღნიშნულია, რომ შეთანხმება ატომური იარაღის აკრძალვისა და სხვა სახეობათა შეიარაღების შემცირების შესახებ შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ წინასწარ შეიქმნება „უშიშროებისა და ნდობის ატმოსფერო“. უეჭველია, რომ „უშიშროებისა და ნდობის ატმოსფერო“ დადებითი ფაქტორია საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხში ეწინააღმდეგება „უშიშროებისა და ნდობის ატმოსფეროს“ შექმნის ამოცანას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამოცანას. როგორც ცნობილია, საფრანგეთის პოლიტიკის მიზანია იმ ღონისძიებათა მხარდაჭერა, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს ატომური და წყალბადის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საბჭოთა მთავრობის ნოტა

საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე

(დასასრული)

იარაღის — აგრესიის იარაღის — დასაგროვებლად, რომლის გამოყენებაზეც აგებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი სამხედრო გეგმები, და რომელსაც მთავარი ადგილი აქვს მიკუთვნებული შეერთებული შტატების შეიარაღების არსენალში. ასეთი პოლიტიკა ხელს ვერ შეუწყობს „უშიშროებისა და ნდობის ატმოსფეროს“ შექმნას. ატომური და წყალბადის იარაღის მარაგის დაგროვება, რასაც თან ახლავს ამ იარაღის გამოყენების სულ ახალი და ახალი მუქარა, სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნა, გამალებული შეიარაღება, „ერთნაირად მოაზროვნე სახელმწიფოთა ასოციაციების“ ალმით სამხედრო აგრესიული ბლოკების შეკოწიწება, — ყოველივე ამას არ შეუძლია არ შეასუსტოს საერთაშორისო ნდობა და არ გააძლიეროს დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში. მეორე მხრივ, ატომური იარაღის აკრძალვის თვით ფაქტმა და სხვა სახეობათა შეიარაღების შემცირების ღონისძიებებმა არ შეიძლება ხელი არ შეუწყოს საერთაშორისო ნდობის განმტკიცებას და უშიშროების ატმოსფეროს შექმნას.

ასევე ეწინააღმდეგება განცხადებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა შეიქმნას „უშიშროებისა და ნდობის ატმოსფერო“, აგრეთვე ხალხთა შორის სიძულვილისა და მტრობის გაღვივების კამპანია და ომის პროპაგანდა, რომელიც ფართოდ წარმოებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჯერ კიდევ 1947 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმობილი იყო ომის პროპაგანდა ყოველგვარი ფორმით და რომელიც ავალებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა მთავრობებს მიეღოთ ღონისძიებანი სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ხელის შესაწყობად და იმ ინფორმაციის გასავრცელებლად, რომელიც განკუთვნილი იყო იმის „გამოსახატავად, რომ ყველა ხალხს უეჭველად სურს მშვიდობა“. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში არა მარტო გარკვეულ საზოგადოებრივ წრეებთან დაკავშირებული პრესის რეაქციული ნაწილი, არამედ აგრეთვე ის პირები, რომლებსაც პასუხსაგები პოსტები უკავიათ მთავრობის აპარატში, აქტიურად მონაწილეობენ ასეთ პროპაგანდაში.

„უშიშროებისა და ნდობის ატმოსფეროს“ საჭიროების შესახებ განცხადებებს სავსებით ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების გაიუწყვეტელი მტრული გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თავიანთ გამოსვლებში ისინი არ ერიდებიან მოწოდებებს — გაგრძელდეს და გაძლიერდეს ძირგამომთხრელი, დივერსიული და ტერორისტული საქმიანობა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. გაისმის აგრეთვე მოწოდებები, რომ გაწყვეტილ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ჩინელი ხალხის სუვერენული უფლებების დარღვევით უხეშ ზეგავლენას ახდენენ ბევრ სახელმწიფოზე, რათა ხელი შეუშალონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაიკავოს მისი კუთვნილი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამასთან ერთად, ამერიკის პრესის ფურცლებზე პროპაგანდას უწევენ საბჭოთა კავშირზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე თავდასხმის მოსამზადებლად სამხედრო ბაზების გამოყენების სხვადასხვა გეგმას. პრესაში აშკარად აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ბაზები განკუთვნილია საბჭოთა კავშირის მრეწველობის დასანგრევად. კერძოდ, სპეციალურად ხაზგასმულია ისეთი სამხედრო-საჰაერო ბაზების მნიშვნელობა, რომლებიდანაც, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელთა ჩანაფიქრით, შეიძლება მოეწყოს ატომური თავდასხმა „რუსეთის ყოველი მთავარი ობიექტის წინააღმდეგ“. უნდა აღინიშნოს აგრესიული განცხადებანი ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეებისა, რომლებიც მოითხოვენ ბომბდამშენთა გაგზავნას „მოსკოვსა და პეკინში“ და მათთვის ატომური ბომბების დაშენას, თუმცა მთელი ამ პროპაგანდის და ამ აგრესიული გეგმების მთელი რეკლამის ავანტიურისტული ხასიათი ნათელია ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის.

ნათქვამის მიხედვით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სერიოზულად იქნას მიჩნეული შენიშვნა, რომელსაც შეიცავს საფრანგეთის მთავრობის 7 მაისის ნოტა, რომ იმ ღონისძიებათა შესახებ მოლაპარაკების წარმატებისათვის, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა, წინასწარ უნდა შეიქმნას „უშიშროებისა და ნდობის ატმოსფერო“. ფაქტები მოწმობენ, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები არათუ არაფერს არ აკეთებენ ასეთი ატმოსფეროს შესაქმნელად, არამედ პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1951 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ“. საბჭოთა მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობისა და ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, ამ კანონმა ომის პროპაგანდა ყოველგვარი ფორმით გამოაცხადა უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ და მოითხოვს სამართალში მიცემულ იქნან, როგორც სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ჩამდენნი, ის პირები, რომლებსაც ბრალი მიეძღვით ასეთი ომის პროპაგანდაში.

საბჭოთა მთავრობა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესების სადარაჯოზე დგას და ყოველ შესაძლო ღონეს ხმარობს ამ მაღალი მიზნების განსახორციელებლად.

საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების პროექტს ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ დადებითად შეხვდნენ ევროპის, და არა მარტო ევროპის, მთელი რიგი სახელმწიფოები. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ოფიციალურმა პირებმა უარყოფითი პოზიცია დაიკავეს ამ პროექტის მიმართ, ფართო საზოგადოებრივი წრეები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ ევროპის სახელმწიფოთა ღონისძიებების გაერთიანებას ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოს როდი გამოუთქვამს აზრი ევროპის კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის ხელშეკრულების შესახებ წინადადების თაობაზე.

ანიშნებს რა დიდ მნიშვნელობას ამ საკითხის ყოველმხრივ განხილვას, რომელიც ეხება ევროპის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საჭიროა განხილულ იქნას ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხი ევროპის სახელმწიფოთა რაც შეიძლება ფართო წარმომადგენლობის მონაწილეობით.

უკანასკნელი დროის მრავალი აზრის შესაბამისად, საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ევროპის კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის ხელშეკრულების პროექტი შეივსოს ახალი დებულებით ეკონომიურ დარგში თანამშრომლობის შესახებ. იგულისხმება, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები იკისრებენ ვალდებულებას განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ვაჭრობისა და სხვა ეკონომიური ურთიერთობის განვითარება სახელმწიფოთა შორის, რაც შეესაბამება ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს და მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნებს.

ჟენევაში 21 ივლისს მიღწეული შეთანხმება ინდოჩინეთის შესახებ იმ ღონისძიებათა ნაყოფიერების კიდევ ერთი დადასტურებაა, რომელთა მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაცია, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება არა მარტო აზიაში, არამედ ევროპაშიც. ჟენევის თათბირმა ცხადყო, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა მოლაპარაკების გზას შეუძლია მოგვცეს დადებითი შედეგები.

ჟენევის თათბირმა ცხადყო, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების გზას გარკვეულ პირობებში შეიძლება მოჰყვეს შეთანხმებანი, რომლებიც იმ ხალხების ინტერესების შესაბამისი იქნებიან, რომლებიც მშვიდობასა და უშიშროებას ესწრაფვიან.

ზემონათქვამის მიხედვით, საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა, ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე აზრთა გაცვლის მიზნით, უახლოეს თვეებში მოწვეულ იქნას თათბირი ევროპის ყველა სახელმწიფოსი, რომელიც ამ თათბირში მონაწილეობას ისურვებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა. საბჭოთა მთავრობას სასურველად მიაჩნია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ამ თათბირზე გაგზავნოს თავისი მეთვალყურე.

თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი თათბირის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ არა მარტო გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის წინადადებებისადმი, არამედ კიდევაც შეიტანონ საკუთარი წინადადებანი ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობამ ანალოგიური ნოტები გაუგზავნა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს.

გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი ბადრიჯანი.

გამოფენის კანდიდატი

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მრავალდარგოვან მეურნეობაში წამყვანი ადგილი ჩაის კულტურას უჭირავს. მარტო 86,5 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციიდან კოლმეურნეობა ყოველწლიურად ხუთ მილიონ მანეთამდე შემოსავალს იღებს. გასულ წელს კოლმეურნეობამ 490,7 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა მრეწვილობას, ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანა 5.785 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს 227 კილოგრამით აღემატება წინა წლის მოსავალს. დღითიდღე ძლიერდება ბრძოლა იმისათვის, რომ წელს მიღებულ იქნას 516 ტონა ჩაის ნედლეული. მაისსა და ივნისში კოლმეურნეობამ ათობით ტონა ნედლეული ჩააბარა გეგმის გადამეტებით, ხოლო ივლისში ყოველდღიურად 6-7 ტონა ფოთოლს კრეფს.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში აქ ფართოდ იყენებენ საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს. ამ კოლმეურნეობაში ხშირად შეხვდებით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, სტალინური პრემიის ლაურეატს ქსენია ბახტაძეს, რომელიც ესაუბრება მეჩაიე კოლმეურნეებს ჩაის ახალი ჯიშებისა და კომპლექსურ აგროტექნიკურ ღონისძიებებზე.

კარგი მაჩვენებლები აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს გული ჯინჭარაძეს. მან შარშან ჰექტარზე 14,2 ტონა ჩაის ფოთოლი მოიყვანა, ხოლო წელს 16 ტონა ჩაისათვის იბრძვის.

მოლოტოველები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფართო ჩვენებით მიდიან არა მარტო ჩაის კულტურის დარგში, არამედ მათ შესანიშნავი მაჩვენებლები აქვთ ციტრუსების, ტუნგოს, მეცხოველეობის, მებოსტნეობის, ერთწლიანი და სხვა კულტურების განვითარების დარგშიც.

პ. სახეჩიძე.

საბჭოთა მშენებლობა

ზეღდუღეთის სასოფლო საბჭო ამ დღეებში

შემთხვევითი როდი იყო, რომ თანასოფლელებმა ზეღდუღეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატად კოლმეურნეობის მჭედელი ეფრემ წკრიალაშვილი აირჩიეს.

ეფრემ წკრიალაშვილი განა მარტო მჭედელია? ის კარგად ფლობს დურგლისა და კალატოზის პროფესიებსაც.

ამას წინათ საკოლმეურნეო მიხდორში მომუშავე ერთ-ერთ კომბაინს ღერძი გაუტყდა. თორმეტ კილომეტრზე — მტს-ის სახელოსნოში ღერძის შესაკეთებლად წაღება დიდ დროსა და ტრანსპორტის გაცდენას მოითხოვდა. ზეღდუღეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დეპუტატ დ. დოთიაშვილის რჩევით კომბაინერმა ღერძი შესაკეთებლად ე. წკრიალაშვილს მიუტანა. მოკლე ხანში ღერძი მზად იყო.

მოსავლის აღების ამ ცხარე დღეებში დიდ და სასარგებლო შრომას ეწევიან სასოფლო საბჭოს დეპუტატები.

...სასოფლო საბჭოს აღმასკომის მორიგი სხდომა მიმდინარეობდა, მოსავლის აღების პირველი დღეების შედეგებზე ლაპარაკობდნენ დეპუტატები, საბჭოს აქტივისტები.

სხდომაზე ბევრი რამ საგულისხმო ითქვა: კოლმეურნეობის მემინდვრეობის პირველი და მეხუთე ბრიგადების (ბრიგადირები გ. რაზმაძე და ვ. მაისურაძე) ნაკვეთებთან მოსაწყობია მისასვლელი გზები; მემინდვრეობის მეორე ბრიგადას (ბრიგადირი ი. გიგაური) არ მოუწყვია საველე კალოები, მუშაობის დაწყების პირველ დღესვე დაგვიანებით მიუტანეს სადილი კომბაინერებს, მოსავლის აღებაში არ მონაწილეობს ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე.

შემჩნეულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის აღმასკომის სხდომამ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება. მისი შესრულების საქმეს სათავეში ჩაუდგნენ სასოფლო საბჭოს დეპუტატები და აქტივისტები. მდგომარეობა მალე გამოსწორდა.

კოლმეურნეობაში მთელი შესაძლებლობით გაიშალა მოსავლის აღება-დახმენავების სამუშაოები. 14 სამუშაო დღეში 1.075 ჰექტარი პურეულის ნათესიდან მოსავალი კომბაინებით აღებულია 400 ჰექტარზე, ხელით მომკილია 120 ჰექტარი. ამასთან უყურადღებოდ არ არის დარჩენილი საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხი. გეგმის გადამეტებით ბუნებრივი ბალახი მოთიბულია 60 ჰექტარზე, სრულდება სილოსის ჩადების ხუთდღიური გეგმა-დავალება, დღემდე ჩადებულია 80 ტონაზე მეტი სილოსი. სამასი ჰექტარიდან გამოზიდული და დაზვინულია ნამჯა.

ზეღდუღეთელმა კოლმეურნეებმა პირნათლად მოიხადეს ვალი სახელმწიფოს წინაშე: პირველი განალეწი მარცვლეულით 9 დღეში შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის სავალდებულო ჩაბარების დავალება.

გორის რაიონის ზეღდუღეთის სასოფლო საბჭო (აღმასკომის თავმჯდომარე გ. რაზმაძე) მოსავლის აღების საქმეში წარმატებებს აღწევს იმით, რომ ეგი მუშაობაში ფართოდ ეყრდნობა აქტივს, მოსავლის აღების ყველა უბანზე მუშაობენ დეპუტატები, მთელ სამუშაოზე დაწესებულია სასოფლო საბჭოს დეპუტატებისა და აქტივისტების მეთვალყურეობა. მაგალითად, სასოფლო საბჭოს დეპუტატები ლევან რაზმაძე და ანდრო ვართუმაშვილი მეთვალყურეობას უწევენ კომბაინების მუშაობას, სასოფლო საბჭოს აქტივისტი შიო ცერცვაძე — მოსავლისაგან განთავისუფლებული ნაკვეთებიდან ნამჯის გამოზიდვისა და დაზვინვის სამუშაოებს და სხვ.

სასოფლო საბჭოს 21 დეპუტატიდან საკოლმეურნეო შრომაში 17 დეპუტატი მონაწილეობს. საშრომ კალოზე აქტიურად შრომობენ დეპუტატი ქალები ს. აწკარუნაშვილი, ს. წკრიალაშვილი, ე. ამირიძე, ნამჯის ზიდვაზე — ვ. მაყაშვილი, კომბაინის ბუნკერიდან პურის გადმოცლაზე — რ. აწკარუნაშვილი და სხვ. მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ ის ბრიგადები, რომელთაც დეპუტატები ვ. გუცაშვილი, გ. ცერცვაძე და შ. სამადალაშვილი ხელმძღვანელობენ.

— ჩვენს პირობებში, — ამბობს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გ. რაზმაძე,—ხორბლის ადრეული ნათესი კარგ მოსავალს იძლევა. სამწუხაროდ, ხორბლის თესვა ცალკეულ ნაკვეთებზე ზოგჯერ გვიჭიანურდებოდა ხოლმე. წელს ასეთი რამ აღარ გამეორდება.

სოფელ ზეღდუღეთის კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა ანეულის ხვნის გეგმა. კარგად მიმდინარეობს მოსავლისაგან განთავისუფლებული ნაკვეთების ტრაქტორებით ხვნა. უკვე მოხნულია 82 და აოშლილია 30 ჰექტარი. წარმოებს სათესლე მასალის გაწმენდა და დაბინავება.

წელს კოლმეურნეობაში პირველად იქნება შემოღებული საკვები კულტურების ნაწვერალზე თესვა. ამ მიზნით მოხნულ 15 ჰექტარ ფართობზე უკვე შეუდგა სიმინდის თესვას ახალსოფლის მტს-ის ტრაქტორისტი გ. ცერცვაძე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ახალი დიდი ამოცანები დასახა სოფლის მეურნეობის წინაშე. ზეღდუღეთის სასოფლო საბჭო აძლიერებს ბრძოლას პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. გ. სეხნიაშვილი გვაცნობებს, რომ წილკნის უბანში ტყის თვითნებურად გაჩეხის შესახებ რედაქციის მიერ გაგზავნილ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ტყისმცველი გ. უთრუგაშვილი თვითნებურად 1.000 ცალი სარის მოჭრისა და გაყიდვისათვის მოხსნილია სამუშაოდან და მის შესახებ მასალები გადაეცა პროკურატურას.

წერილი რედაქციას

ტყიბულელებს ბრიგადირ ვაგზლის შენობის დამთავრებას

შვიდი წლის წინათ ტყიბულში საფუძველი ჩაუყარეს რკინიგზის სამგზავრო ვაგზლის შენობას, რომელიც დღესაც არ არის დამთავრებული. მშენებლობა მინდობილი აქვს ტყიბულმახტმშენის ტრესტის საბინაო-კომუნალური მშენებლობის განყოფილებას, რომლის უფროსმა ვ. სანაძემ ტყიბულელებს ერთხელ კიდევ (ძნელია დათვლა, მეერამდენედ) საზეიმოდ აღუთქვა, მეახტის დღისათვის დავამთავრებთ ვაგზლის აგებას და მატარებლები პირდაპირ აქედან გავლენ ქუთაისისაკენო. ასეთი დაპირებები ამხ. სანაძემ მრავალი მოგვცა. წინანდელი მისი დაპირების მიხედვით მშენებლობა შარშან 7 ნოემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო. ვ. სანაძემ, როგორც წესი, სიტყვა საქმედ არ აქცია და მშენებლობა კვლავ ჭიანურდება.

ტყიბულელი მშრომელები კიდევ შეუიგდებოდნენ ამ მდგომარეობას, რომ, რაც აგებულია, ის მაინც არ ნადგურდებოდეს და ძვირფასი საშენი მასალები არ ნიავდებოდეს.

მშენებლებმა ვაგზლის შენობის გარე ფასადი მოაჩუქურთმეს, კედლები შელესეს, იატაკზე პარკეტი დააგეს. საქმე წინ მიდიოდა. ყველას ეგონა, რომ ვაგზლის შენობას მალე გადასცემდნენ საექსპლოატაციოდ. მაგრამ ვ. სანაძემ ყველასათვის მოულოდნელად მშენებელი მუშები აქედან სხვაგან გადაიყვანა, დაუმთავრებელი შენობა ისე მიატოვა, რომ დარაჯიც არ დაუტოვებია. ამან გამოიწვია საშენი მასალების განიავება. პარკეტი განიავდა, მინები ჩაიმტვრა, სახურავის უვარგისობის გამო წვიმამ მთლიანად ჩამორეცხა კედლები როგორც შენობის შიგნით, ისე გარეთ. მრავალ ადგილას შენობის ფასადს ჩამოსცვივდა ჩუქურთმა, რომლის დამზადება მშენებლებს საგრძნობი თანხა დაუჯდათ.

სამშენებლო მოედანი ნაგვით არის ავსებული, უწესრიგოდ ყრია ფიცრები, რკინა, დამსხვრეული მინა, მალები, აგური, ქვა...

ყოველივე ეს იციან ტყიბულმახტმშენის ტრესტის ხელმძღვანელებმა, მაგრამ ზომებს არ იღებენ.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებმა წესრიგისაკენ უნდა მოუწოდონ ვ. სანაძეს, რომელიც ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდება მინდობილ საქმეს.

ტყიბულელი მეშახტეები და მშრომელები მოითხოვენ რკინიგზის ვაგზლის შენობის აგების დამთავრებას.

ე. ცნოგბილაძე,
საპატიო მეშახტე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ახალი მეთოდით უხვი მოსავალი მოიყვანეს

გარდაბანი. (სპეც. კორ.). გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული გარდაბნის ბოსტნეული კულტურების ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის სპეციალისტების ვ. ქერქაძისა და მ. ულარჯევის დახმარებით წარმატებით შრომობენ, რათა მიაღწიონ მკვეთრ აღმავლობას მებოსტნეობაში. აქ წელს დანერგეს მოსავლიანობის გადიდების ისეთი პროგრესული ღონისძიება, როგორიც არის ნეშომპალის ქოთნებში ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა. დაამზადეს 235 ათასი ნეშომპალის ქოთანი ნაცვლად 165 ათასისა. აქედან მარტო საზამთროსათვის გამოყენებულია 10 ათასი ცალი ქოთანი, დანარჩენი კი — ბადრიჯანის, კომბოსტოს, პამიდორისა და კიტრისათვის.

კოლმეურნეობაში წელს 29 ჰექტარი საზამთროს ნათესი აქვთ, აქედან ახალი პროგრესული მეთოდით — 1 ჰექტარი. გამოირკვა, რომ ქოთნებში გამოყვანილმა ჩითილმა მინდვრად გადარგვისას ფესვთა სისტემა მთლიანად შეინარჩუნა, მაშინ როცა კვალსათბურიდან ჩითილის მიწიანად ამოღების დროსაც ფესვთა სისტემის შემწოვი ბუსუსები 80 პროცენტით წყდება და იკარგება. გარდა ამისა, უქოთნოდ გამოყვანილმა ჩითილმა დარგვის შემდეგ ფესვთა სისტემის დაწყვეტილი შემწოვი ბუსუსების აღდგენას სულ მცირე ათი დღე მოანდომა. ამან კი მცენარის ზრდას ხელი შეუშალა.

ქოთნებში გამოყვანილმა ჩითილმა კოლმეურნეობას საშუალება მისცა მოსავალი ადრე და მეტი მიეღო, რადგან ამ ჩითილმა მინდვრად გადარგვის შემდეგ უფრო კარგად გაუძლო არახელსაყრელ პირობებს, ვიდრე ჩვეულებრივად ღია კვლებში გამოყვანილმა ჩითილმა.

ამ მხრივ აღსანიშნავია კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. მამედოვას ნაყოფიერი მუშაობა. იგი კარგად დაეუფლა ამ ახალ პროგრესულ მეთოდს. ბრიგადას მოსავლელად მიჩენილი აქვს 10 ჰექტარი ბოსტნეული კულტურები. ნათესის დასამუშავებლად წელს აქ პირველად გამოიყენეს მექანიზმები. ორმხრივი მიმართულებით მოაწყეს კულტივაცია სამჯერ, ნიადაგში შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქები. თვითეულ ბუდეში შეიტანეს აგრეთვე 3 კილოგრამამდე გადამწვარი ნაკელი.

ამ მეთოდით ბრიგადირმა საგრძნობლად გაზარდა საზამთროს მოსავლიანობა და ამავე დროს 20 დღით დააჩქარა მისი შემოსვლა.

ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში დიდი მოსავალი მიიღეს. ზოგიერთ ნაკვეთზე მიღებული თვითეული საზამთრო 13-14 კილოგრამს იწონის. საშუალოდ ჰექტარზე 400 ცენტნერ მოსავალს ელიან, ნაცვლად 170 ცენტნერისა. ხოლო ამავე ბრიგადის სხვა ნაკვეთზე ჩვეულებრივი წესით დათესილი საზამთრო 5-7 კილოგრამს იწონის. ახალმა პროგრესულმა მეთოდმა მექანიზაციის სრულად გამოყენებასთან ერთად კოლმეურნეობას საშუალება მისცა ჩვეულებრივთან შედარებით 30 პროცენტით ნაკლები შრომადღეები დაეხარჯა.

წელს კოლმეურნეობაში ნეშომპალის ქოთნები გამოიყენეს აგრეთვე ბადრიჯანის, პამიდორის, კომბოსტოს გამოსაყვანად. შედეგიც კარგია. მოსავალს ერთიორად მეტს მიიღებენ, ვიდრე ჩვეულებრივი ნათესიდან.

კოლმეურნეობამ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა ახალი, პროგრესული მეთოდით მიღებული საზამთროს, ბადრიჯანის და სხვა ბოსტნეული კულტურების მოსავლის ექსპონატები.

ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის შ. მამედოვას გამოცდილება ფართოდ გავრცელების ღირსია.

გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საზამთროს მოსავალს იღებენ. პირველ სურათზეა ნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი, ხოლო მეორეზე — ჩვეულებრივ ღია კვლებში გამოყვანილი საზამთრო.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

„გაუმარჯოს მშვიდობას, ერთიანობას, დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას ვიეტნამში!“

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის მიმართვა ხალხისადმი

ჰანოი, 25 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, 1954 წლის 22 ივლისს იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში ხელმოწერილ იქნა შეთანხმებანი ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა წერილით მიმართა ვიეტნამის ხალხს, არმიასა და კადრის მუშაკებს.

„ჟენევის თათბირი, — ნათქვამია მიმართვაში, — დამთავრდა. ჩვენ დიდი დიპლომატიური გამარჯვება მოვიპოვეთ.

მთავრობის სახელით მე სულითა და გულით მივმართავ ყველა თანამემამულეს, მეომარსა და კადრის მუშაკს შემდეგი მოწოდებით.

1. ჩვენი საშობლოს მშვიდობის, ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ჩვენი ხალხი, არმია, კადრის მუშაკები და მთავრობა, მშიდროდ დარაზმულნი, იტანდნენ რა გაჭირვებას და სძლევდნენ მრავალ სიძნელეს, მედგრად იბრძოდნენ უკანასკნელი 8—9 წლის განმავლობაში და ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვეს. ამის გამო მთავრობის სახელით სულითა და გულით ვულოცავ ყველა ჩვენს თანამემამულეს, მთელი ჩვენი ქვეყნის მეომრებსა და კადრის მუშაკებს ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. თავსა ვხრი მებრძოლებისა და ყველა პატრიოტის ხსოვნის წინაშე, რომლებმაც გმირულად შესწირეს სიცოცხლე საშობლოს, და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებ დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებს.

ჩვენ დიდი გამარჯვებანი მოვიპოვეთ აგრეთვე იმის მეოხებით, რომ ჩვენს ბრძოლას მართალი საქმისათვის მხარი დაუჭირეს მეგობარი ქვეყნების ხალხებმა, ფრანგმა ხალხმა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა.

ამ გამარჯვებათა და ბერლინის თათბირზე სსრ კავშირის დელეგაციის ღონისძიებათა მეოხებით ჩვენს მთავრობასა და საფრანგეთის მთავრობას შორის დაიწყო მოლაპარაკება ჟენევის თათბირზე. ჩვენი დელეგაციის მოქმედებამ და სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციათა დახმარებამ დიდი გამარჯვება მოგვაპოვებინა ჟენევის თათბირზე. საფრანგეთის მთავრობამ ცნო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა, დათანხმდა გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნიდან და სხვ.

ჩვენ კვლავაც ვიხმართ ღონისძიებებს იმისათვის ბრძოლაში, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში განმტკიცდეს მშვიდობა, განხორციელდეს ერთიანობა, მიღწეულ იქნას დამოუკიდებლობა და დემოკრატია.

2. მშვიდობის განსახორციელებლად პირველი ნაბიჯი ის უნდა იყოს, რომ ცეცხლი შეწყვიტონ ორივე მხარის შეიარაღებულმა ძალებმა.

ცეცხლის შესაწყვეტად საჭირო გადაჯგუფდეს ორი მხარის შეიარაღებული ძალები ორ ცალკეულ ზონაში, ე. ი. შეიცვალოს რაიონები, რომლებიც უკავია თვითეული მხარის შეიარაღებულ ძალებს.

სამხედრო სადემარკაციო ხაზის გაყვანა დროებითი და გარდამავალი ღონისძიებაა დაზავების განსახორციელებლად, მშვიდობის აღსადგენად და საყოველთაო არჩევნების გზით ეროვნული გაერთიანების მიღწევის საქმეში პროგრესის მოსაპოვებლად. სადემარკაციო ხაზი არამცდაარამც არ ნიშნავს პოლიტიკურ ან ტერიტორიულ საზღვარს.

დაზავების პერიოდში ჩვენი შეიარაღებული ძალები თავმოყრილი უნდა იყვნენ ჩრდილოეთ ვიეტნამში, ხოლო საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალები — სამხრეთ ვიეტნამში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხდება ზონების გაცვლა: მთელი რიგი რაიონები, რომლებიც ოკუპირებული აქვთ ფრანგებს, განთავისუფლებული რაიონები გახდებიან; ხოლო მთელ რიგ ჩვენს განთავისუფლებულ რაიონებში დროებით, სანამ საფრანგეთს დაბრუნდებოდნენ, დაბინავდებიან საფრანგეთის ჯარები.

ეს აუცილებელი ღონისძიებაა. მაგრამ ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი ვიეტნამი ჩვენი ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია, და ჩვენი ქვეყანა, უეჭველია, გაერთიანდება, ხოლო ჩვენი თანამემამულენი მთელ ჩვენს ქვეყანაში, უეჭველია, განთავისუფლდებიან.

ჩვენმა თანამემამულეებმა სამხრეთში პირველებმა დაიწყეს პატრიოტული ომი და ცხადყვეს მაღალი შეგნება. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მთელი ჩვენი ქვეყნის ინტერესებს დაიყენებენ ადგილობრივ ინტერესებზე მაღლა, მუდმივ ინტერესებს — ახლანდელ ინტერესებზე მაღლა და დანარჩენ ჩვენ ხალხთან ხელიხელჩაკიდებულნი მთელ ძალღონეს მოახმარენ მშვიდობის განმტკიცებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის ერთიანობის განხორციელებისა და დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მიღწევისათვის ბრძოლას. ვიეტნამის მშრომელთა პარტია (ლაო-დონგი), მთავრობა და პირადად მე ყოველთვის ვადევნებთ თვალყურს ჩვენი თანამემამულეების ლონისძიებებს სამხრეთში, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი წარმატებას მიაღწევენ.

3. მშვიდობის განმტკიცებისათვის, ერთიანობის განხორციელებისათვის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მიღწევისათვის ბრძოლა აგრეთვე ხანგრძლივი და გრძელი ბრძოლაა. რომ გავიმარჯვოთ, ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხი, ყველა მეომარი და კადრის მუშაკი ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე კიდევ უფრო უნდა დაირაზმონ და ერთიანი უნდა იყვნენ აზრებითა და მოქმედებით.

ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი პატიოსნად შევასრულოთ იმ შეთანხმების პირობები, რომელსაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ საფრანგეთის მთავრობასთან ერთად, და ამავე დროს ეოვუწოდებთ საფრანგეთის მთავრობას პატიოსნად დაიცვას პირობები შეთანხმებისა, რომელსაც მან ხელი მოაწერა ჩვენთან ერთად.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მშვიდობის განმტკიცებისათვის და ფხიზელნი უნდა ვიყოთ მსოფლიოს მტრების ხრიკების მიმართ. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის ბრძოლაში, რომ მოვაწყოთ საყოველთაო თავისუფალი არჩევნები მთელ ვიეტნამში, რათა განხორციელდეს ეროვნული ერთიანობა. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ჩვენი ძალების აღდგენის, შექმნის, განმტკიცებისა და განვითარებისათვის ყველა დარგში, რათა განვახორციელოთ ჩვენი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობა.

ჩვენ უნდა ვეცადოთ იმას, რომ განვახორციელოთ სოციალური რეფორმები, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი ხალხის ცხოვრების პირობები და განვახორციელოთ ნამდვილი დემოკრატია.

ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს ძმურ კავშირს ლაოსისა და კამბოჯის ხალხებთან.

ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ვიეტნამის დიად მეგობრობას საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სხვა მეგობრულ ქვეყნებთან. ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს სოლიდარობას ფრანგ ხალხთან, აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხებთან მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

4. მხურვალედ მოვუწოდებ მთელ ხალხს, ყველა მეომარსა და კადრის მუშაკს სწორად განახორციელონ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკური გეზი და პოლიტიკა, იბრძოლონ მშვიდობის განმტკიცებისათვის, ერთიანობის განხორციელებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მიღწევისათვის.

სულითა და გულით მოვუწოდებ ყველა ადამიანს, რომლებსაც გულწრფელად უყვართ თავიანთი სამშობლო, სოციალური მდგომარეობის, რელიგიური რწმენის, პოლიტიკური შეხედულებების განურჩევლად, იმის მიუხედავად, თუ რომელ პარტიას ემხრობოდნენ წარსულში, გულწრფელად ითანამშრომლონ ერთმანეთს შორის და იმუშაონ ერისა და სამშობლოს სასარგებლოდ, იბრძოლონ ჩვენი საყვარელი ვიეტნამის მშვიდობის, ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის განხორციელებისათვის.

საერთო-ეროვნული ერთიანობით, მთელი ხალხის მონოლითური დარაზმულობით ჩვენ, უეჭველია, მოვიპოვებთ გამარჯვებას.

გაუმარჯოს მშვიდობას, ერთიანობას, დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას ვიეტნამში!“.

ДИДМНИШВНЕЛОВАНИ НАБИЯЖИ САЕРТАШОРИСО ДАДАБУЛОБИС შენელების გზაზე

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განცხადება

ვენა, 24 ივლისი. (საკდესი). ინდოჩინეთში დაზავების შესახებ შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება.

გამოხატავს რა ყველა მშრომელის გრძნობებს, ნათქვამია განცხადებაში, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია 80 მილიონი თავისი წევრის სახელით მხურვალედ მიესალმება ჟენევაში ხელმოწერილ შეთანხმების დაზავების შესახებ. წყდება ინდოჩინეთის ხალხებისა და ფრანგი ხალხის სისხლისღვრა. წყდება ომი, რომელსაც კოლონიზატორები ეწეოდნენ თავიანთი მოგების გასაადიდებლად და რომელიც შეიძლებოდა საერთაშორისო კონფლიქტად გადაქცეულიყო.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მიესალმება დაზავების დადებას, რომლისთვისაც იგი მუდამ და დაუცხრომლად იბრძოდა. ეს დაზავება იმ ძალების უდიდესი წარმატებაა, რომლებიც ყველა ქვეყანაში იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად მიაჩნია, რომ ჟენევაში დადებული დაზავება, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, რასაც ქმნიან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და დელეგაცია, მოლაპარაკების სულისკვეთების შესაბამისი გამარჯვებაა და ამავე დროს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ თავის განცხადებაში მიესალმება ვიეტნამის, კბჟრისა და პატეტ-ლაოს მამაც ხალხებს, რომელთა გმირობის მეოხებითაც მიღწეულია ეს დიდი წარმატება მათი ქვეყნების მშვიდობისა და დამოუკიდებლობის დაცვის სამართლიან საქმეში. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მადლობა გადაუხადა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციას, მუშათა კლასსა და ფრანგ ხალხს, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციასა და მშრომელთ, რომლებმაც თავიანთი აქტიური ბრძოლით ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის უაღრესად შეუწყეს ხელი ამ გამარჯვების მიღწევას.

მშვიდობისმოყვარე მშრომელთა და ხალხთა ეს წარმატება, რომელიც მოპოვებულია კოლონიურ აგრესიაზე, ნათქვამია განცხადებაში, კიდევ უფრო განამტკიცებს რწმენას მშვიდობისმოყვარე ძალების ახალი გამარჯვებებისადმი. ამ ახალ წარმატებათა მისაღწევად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს ფხიზლად იყვნენ და გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, რადგან მონოპოლიები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ომისათვის, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განხორციელებას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მოუწოდა პროფკავშირებსა და ყველა პოლიტიკური ძალთა ერთიანობის და პროფკავშირული კეთილნების მშრომელთ „მტკიცედ იბრძოლონ, რათა განხორციელდეს მოქმედების საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჯერ კიდევ ყველა გადაუჭრელ საერთაშორისო საკითხში მოლაპარაკების სულისკვეთების გამარჯვების მიღწევის საქმეში, მშვიდობისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტ გამარჯვებათა უზრუნველყოფის საქმეში“.

საფრანგეთის პრესა ჟენევის თათბირის თაობაზე საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთმა დღეს გამოაქვეყნა შინაარსი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა ჟენევის თათბირის შესახებ. სათაურებში გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა მთავრობის მტკიცე რწმენას, რომ ჟენევის თათბირის შედეგები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან სხვა გადაუწყვეტელი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისათვის.

გაზეთები საბჭოთა მთავრობის განცხადებაში გამოყოფენ პუნქტს, სადაც აღნიშნულია, რომ შეიძლება მოეწყოს ახალი მოლაპარაკება ატომური იარაღის აკრძალვის, ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის, მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის პრობლემის მოწესრიგების მიზნით, აგრეთვე რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას კორეის საკითხის რაც შეიძლება მალე გადაწყვეტა.

გაზეთების უმრავლესობას მოჰყავს საბჭოთა მთავრობის განცხადების ტექსტის მხოლოდ შინაარსი და თავს იკავებს საკუთარი კომენტარისაგან. ბურჟუაზიული გაზეთები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადებას „სეპტიკურად შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო“.

გაზეთი „ორორი“ ხაზგასმით აღნიშნავს მნიშვნელობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ანიჭებს გერმანიის პრობლემის გადაჭრას, და აყენებს საკითხს, ექნება თუ არა ოთხი დიდი სახელმწიფოს ახალ თათბირს „უფრო მეტი წარმატება“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადებას „უენთუზიაზმოდ“ შეხვდნენ ვაშინგტონსა და ლონდონში.

გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ თათბირის მოწვევა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით უწინარეს ყოვლისა შეესაბამება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. „საბჭოთა მთავრობას, — წერს „ლუმანიტე“, — რომელიც მუდამ ცდილობს განამტკიცოს მშვიდობა და ხალხთა თანამშრომლობა, მიაჩნია, რომ ამჟამად არის შესაძლებლობა დაიწყოს მოლაპარაკება, რათა გადაიჭრას არა მარტო აზიის, არამედ აგრეთვე ევროპის სადავო საკითხები. ჟენევაში გამოვლინებულ ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცებას, იგი აღნიშნავს საფრანგეთის მთავრობის პოზიციას, „რომელიც ნაკარნახევია მისწრაფებით — იმოქმედოს საფრანგეთის ეროვნული ინტერესების შესაბამისად“.

სწორედ ამას ეხება საქმე. საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგება, დაძაბულობის შენელება შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებს. არის თუ არა ჩვენს ქვეყანაში პირობები ეროვნულ ინტერესებზე დამყარებული ასეთი პოლიტიკის განგრძობისათვის? უდავოდ არის“.

„ლუმანიტეს“ მიაჩნია, რომ საფრანგეთმა მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოთა მთავრობის განცხადებაში წამოყენებულ წინადადებებს.

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უარი თქვეს კომენტარი გაუკეთონ საბჭოთა მთავრობის განცხადებას მანამდე, სანამ „სამინისტრო არ მიიღებს ამ განცხადების სრულ ტექსტს და ჯეროვნად არ შეისწავლის მას“

ინგლისის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

ლონდონი, 24 ივლისი. (საკდესი). გაზეთები „ივნინგ ნიუსი“ და „ივნინგ სტანდარდი“ პირველი გვერდის თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას ჟენევის თათბირის შესახებ. განცხადების ტექსტი ლონდონში ძალიან გვიან მიიღეს, ამიტომ ლონდონის გუშინდელი ღამის გაზეთების უმრავლესობამ ვერ მოათავსა იგი.

„ივნინგ სტანდარდი“ ცნობა ამ თემაზე მოათავსა სათაურით: „მოსკოვი მოუწოდებს მოეწყოს ახალი თათბირი“; „ივნინგ ნიუსმა“ — „რუსეთი მოუწოდებს მოეწყოს დიდი სახელმწიფოების ახალი თათბირი“.

ყველა გაზეთი გამოჰყოფს განცხადების იმ ნაწილს, რომელშიც ნათქვამია, რომ ჟენევის თათბირის შედეგები „ადასტურებენ საბჭოთა თავრობის მტკიცე რწმენას, რომ ამჟამად საერთაშორისო ურთიერთობაში არ არის ისეთი სადავო საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც არ შეიძლებოდეს მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით“.

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი მიდლტონი ლონდონიდან იუწყება, „ინგლისში ძლიერდება კამპანია იმის სასარგებლოდ, რომ საბჭოთა კავშირთან განახლდეს მოლაპარაკება გაერთიანებული და ნეიტრალური გერმანიის შექმნის საკითხზე. საბჭოთა მთავრობის განცხადება ჟენევის თათბირის შესახებ ბევრმა ლეიბორისტმა მიიჩნია იმის დამადასტურებლად, რომ არის რეალური შესაძლებლობა შეთანხმების მისაღწევად, რათა თავიდან აცილებულ იქნას გერმანიის შეიარაღება, რომელიც სულ უფრო არაპოპულარული ხდება ყველა ქვეყანაში...“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი.

ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის საკითხის, აგრეთვე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის, როგორც ლონდონში ქვეკომიტეტში, ისე განიარაღების კომისიაში განხილვამ, განაცხადა ს. კ. ცარაპკინმა, ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს და მათს მოკავშირეებს კვლავ არ სურთ არც ატომური იარაღის აკრძალვა, არც შეიარაღების შემცირება.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და მათი მომხრე ქვეყნების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ცხადყვეს, რომ მათ აინტერესებთ არა იმდენად ის საკითხი, თუ როგორ გამონახონ კომისიის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის გზა, რამდენადაც ის საკითხი, რომ საბჭოთა კავშირს გადააბრალონ მოლაპარაკების წარუმატებლობა.

დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები ცდილობენ დაამტკიცონ აქ, რომ მათი წინადადებანი ახალი და კომპრომისულია. ცდილობენ დასაბუთონ ეს წინადადებანი როგორც „დათმობა“. ნამდვილად მათი წინადადებანი ახალი არ არის და არ შეიცავენ არავითარ კომპრომისს, არავითარ დათმობას.

გაარჩია რა დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი, რომლებიც არ უზრუნველყოფენ არც ატომური იარაღის აკრძალვას, არც გამოლებული შეიარაღების შეწყვეტას, ს. კ. ცარაპკინმა თქვა:

ამერიკის წინადადება კონტროლის შესახებ სრულიადაც არ ითვალისწინებს კონტროლს ატომგულის იარაღის აკრძალვის პირობების დაცვისადმი, იქ ეს იარაღი არც კი ნახსენები სადმე, გარდა შესავალი ნაწილისა, რომელიც არავის არაფერს არ ავალებს.

იმ საკონტროლო ორგანოს სტრუქტურაში, ფუნქციებსა და რწმენებებში, რომლის შექმნასაც ამერიკელები მოითხოვენ, შეიძლება ნახოთ ყველაფერი, რაც გნებავთ, დაწყებული ინფორმაციის შეგროვებითა და საჰაერო დაზვერვით და დამთავრებული იმ უფლებით, რომ წაართვან ქვეყნებს ატომგულის ნედლეული და დახურონ ატომის საწარმოები, ე. ი. ყოველივე ის, რაც იყო ბარუხის გეგმაში და ამერიკის უფრო გვიანდელ წინადადებებში, მაგრამ იქ სიტყვაც არ არის ნათქვამი ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების შესრულებისადმი კონტროლის თაობაზე.

ცარაპკინმა შემდეგ აღნიშნა, რომ ატომგულის იარაღის პირობითი აკრძალვა, რაზეც ლაპარაკია ინგლის-საფრანგეთის წინადადებაში, ფაქტიურად არის ამ იარაღის არა აკრძალვა, არამედ დაკანონება.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო მან, არა სიტყვით, არამედ საქმით არის იმის მომხრე, რომ ბნიშნელოვნად შემცირდეს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები. ეს ცხადია ყველისათვის საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებებიდან, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა მიმდინარე წლის 11 ივნისს კომისიის ქვეკომიტეტში ლონდონში. საბჭოთა დელეგაციის აზრით, ამ წინადადებებში არაფერია მიუღებელი და ისინი არ შეიცავენ რაიმე დაუძლეველ სიძნელეებს, თუ კომისიის ყველა წევრს აქვს კეთილი ნება და გულწრფელად ესწრაფვის მიაღწიოს შეთანხმებას ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

ცდილობენ რა გამოუნახონ ბაზა თავიანთ მოსაზრებებს საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ, დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა შეეცრთებული შტატების მეთაურობით არაერთხელ დაიმოწმეს ის, რომ არ არსებობს „ნდობის ატმოსფერო“ და სხვა ამგვარი „არგუმენტები“. მაგრამ, თქვა ცარაპკინმა, თუ ვინმეს აქვს უფლება უნდობლობა გამოაცხადოს, ეს არის სწორედ საბჭოთა კავშირი, რომელიც გარშემორტყმულია ამერიკის სამხედრო ბაზებით და რომლის წინააღმდეგაც ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად აკოწიწებენ აგრესიულ სამხედრო ბლოკებს და ყოველდღე ეწევიან მტრულ პროპაგანდას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აშკარაა ამერიკელ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ისეთი გამოსვლა, რომელიც არ შეიცავდეს მუქარას საბჭოთა კავშირის მიმართ. ამერიკის ჟურნალებში ქვეყნდება საბჭოთა კავშირის რუკები, სადაც აღნიშნულია ატომური დაბომბვის ობიექტები.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი, თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობის პოლიტიკას, მტკიცედ მოითხოვს აიკრძალოს ატომური იარაღი და შემცირდეს შეიარაღება. ამ პოლიტიკის პირდაპირ საწინააღმდეგოა პოლიტიკა შეერთებული შტატებისა, რომლებსაც არა მარტო არა სურთ ატომური იარაღის აკრძალვა და შეიარაღების შემცირება, არამედ, პირიქით, მუშაობას ეწევიან, რათა მოახდენინონ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია მათ მიერ განზრახული ატომური ომის შესაფერისად.

საბჭოთა წარმომადგენელმა ცხადყო, თუ რა არის ქვეკომიტეტის მუშაობის უშედეგობის მიზეზი. ეს მიზეზები, თქვა მან, არის, ჯერ-ერთი, საბოტაჟის პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ეწევიან. მეორე, დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა უარი სერიოზულად განიხილონ საბჭოთა კავშირის წინადადებანი. მესამე ის, რომ ქვეკომიტეტის შემადგენლობა დამაკმაყოფილებელი არ არის. იმ გარემოებამ, რომ ქვეკომიტეტის შემადგენლობაში არ არიან ისეთი სახელმწიფოთა წარმომადგენლები, როგორიც არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი და ჩეხოსლოვაკია, უეჭველია, უარყოფითი გავლენა მოახდინა შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღწევის შესაძლებლობაზე.

მაგრამ, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა, მსოფლიოს ხალხები ვერ შეურიგდებიან ისეთი ომის პერსპექტივას, რომელშიც გამოყენებული იქნება ატომური და წყალბადის ბომბები. მსოფლიოს ხალხები სულ უფრო ხმამაღლა და მტკიცედ მოითხოვენ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი. მან მოიყვანა მრავალი მაგალითი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნაა.

მიუხედავად ქვეკომიტეტის მუშაობის წარუმატებლობისა, საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს ამისათვის, რომ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, შემცირდეს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები. საბჭოთა კავშირი, რომელიც უაღრესად ზრუნავს ამისათვის, რომ დაიცვას კაცობრიობა მომაკვდინებელი ატომური და წყალბადის იარაღისაგან, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს იარაღი არასოდეს არ გამოიყენონ ადამიანთა წინააღმდეგ.

კომისიის შემდეგი სხდომა დანიშნულია 26 ივლისს.

საფრანგეთის ეროვნული ერთიანობა

სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომების მოძრავი გამოფენა

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებში ეწყობა ჩვენი ქვეყნის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომების ჩვენება. მოძრავი გამოფენა უკვე მოეწყო მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ვილნიუსში, ტალინში და ხარკოვში.

შაბათს, 24 ივლისს, სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერიაში.

გამოფენაში მონაწილეობენ ლენინგრადის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის რეპინის სახელობის ინსტიტუტის, მოსკოვის სურიკოვის სახელობის სამხატვრო აკადემიის, ლატვიისა და ლიტვის სს რესპუბლიკების სამხატვრო აკადემიების, ესტონეთის სსრ სამხატვრო ინსტიტუტის, თბილისის სამხატვრო აკადემიისა და ერევნის სახელმწიფო სამხატვრო-თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტები. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების სტუდენტთა სადიპლომო ნაწარმოებების გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრობის, სკულპტურის, ფერწერისა და გრაფიკის ასორმოცდაათზე მეტი ნიმუში.

გამოფენის მნიშვნელობა ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობა ეცნობა ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებს. მაყურებელთა ყურადღებას იპყრობს გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა თემატიკური მრავალფეროვნება. სტუდენტ მხატვართა ნაწარმოებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მშვიდობის თემას. ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ხალხების შემოქმედებითი შრომის თემა. მნახველთა ყურადღებას იპყრობს ნაყოფაცხოვრებო ჟანრის ნაწარმოებები, მათ შორის აღსანიშნავია შევანდრონოვას სურათი „მიღებაზე“, მინასიანის „გასეირნება“. თანამედროვე ცხოვრებას ასახავს ცუცქირიძის სურათი „დასვენება“ და პლასტოვას „საღამო მინდვრად“.

ახალგაზრდა მხატვრების მრავალი ნაწარმოები მეტყველებს მათი ავტორების ნიჭსა და გემოვნებაზე. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ახალგაზრდა მხატვრის მახარაძის დიდი ტილო „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში“, ლოპეხის „1936 წელი“, პლოტნიკოვის „პეტროგრადის ფრონტზე“, სტილის „დავიცავთ მშვიდობას“, ეპშტეინის — პიანისტ ვასილიევის პორტრეტი, არლაშის „ჩვენ მოვითხოვთ მშვიდობას“, სელეზნევის პლაკატი „კომუნიზმის მშენებლობაზე ჩვენთან ერთად წამოდით“ და სხვ.

გრაფიკულ ნაწარმოებთა შორის მნახველთა ყურადღებას იპყრობს სმირნოვის ლინოგრავიურების სერია — „ლენინგრადი“. მაღალ ოსტატობას ამჟღავნებენ სტუდენტები რაუდბერგი, უსპენსკაია.

გამოფენის გახსნის პირველ დღესვე შთაბეჭდილებათა წიგნში გაჩნდა ჩანაწერები. თბილისელი მშრომელები მაღალ შეფასებას აძლევენ წარმოდგენილ ნიმუშებს. ეს მაღალი შეფასება მოწმობს ჩვენი ახალგაზრდა მხატვრების დიდ შემოქმედებითს ზრდას.

გ. კასაბაშვილი.

სურათზე: გამოფენის მნახველები ახალგაზრდა მხატვარ კ. მახარაძის სურათთან „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში“.

ფოტო შ. გოქაძისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მოსკოვი. 25 ივლისი. დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალური სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა ნატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის.

თამაშის პირველი ნახევარი თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-13 წუთზე ანგარიში გახსნა გუნდის კაპიტანმა ა. ღოლოძერიძემ. 26-ე წუთზე ა. კოტრიკაძემ ტორპედოელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა. პირველი ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ 2:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ინიციატივა ხელთ იგდეს ტორპედოელებმა. მე-10 წუთზე ნ. სენიუკოვმა (ნახევარდამცველი) სპასუხო ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში. თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე მოსკოველებმა გაათანაბრეს ანგარიში. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

რიგა. 25 ივლისი. დედაქალაქისა და მინსკის სპარტაკელთა შეხვედრა პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იპყრობდა ლატვიელ მაყურებლის ყურადღებას. ეს მატჩი გაიმართა რიგის „დაუგავას“ სტადიონზე. მძაფრი და საინტერესო სპორტული ბრძოლა დამთავრდა მოსკოვის „სპარტაკის“ გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

ლენინგრადი. 25 ივლისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ ლენინგრადის გუნდები — „შრომითი რეზერვები“ და „ზენიტი“. შეჯიბრება ნოიგო „ზენიტის“ ფეხბურთ